სსიპ ციფრული
მმართველობის სააგენტო

16 / ივლისი / 2025 წ.

KA012177969655125

№ **85/ს**

თავმჯდომარის ბრძანება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციის შესახებ

განმცხადებელი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

მოთხოვნა: კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაცია

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობა

1.1. 2025 წლის 19 ივნისს სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტოში (**შემდგომში – სააგენტო**) წარმოდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (**შემდგომში – განმცხადებელი**) 2025 წლის 19 ივნისის № 01/140348 განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის № 1775) კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციის შესახებ, შემდეგ კვალიფიციურ სანდო მომსახურებებზე:

ა) კვალიფიციური სანდო მომსახურება ელექტრონული ხელმოწერის კვალიფიციური სერტიფიკატის შექმნისა და ვალიდაციისთვის:

ა.ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე (ავტორიზაცია მიღებულია);

ბ) კვალიფიციური სანდო მომსახურება ელექტრონული შტამპის კვალიფიციური სერტიფიკატის შექმნისა და ვალიდაციისთვის:

ბ.ა)კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის მიერ წარდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე (ავტორიზაცია მიღებულია);

ბ.ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე (ავტორიზაცია მიღებულია);

ბ.გ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე (ავტორიზაცია მიღებულია);

ბ.დ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე (ავტორიზაცია მიღებულია);

გ) კვალიფიციური სანდო მომსახურება დროის კვალიფიციური აღნიშვნის შექმნისათვის:

გ.ა) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება (ავტორიზაცია მიღებულია).

1.2. სააგენტომ განიხილა წარმოდგენილი განცხადების ფორმალური შესაბამისობა და მიიჩნია, რომ განცხადება საჭიროებდა დაზუსტებას, რის გათვალისწინებითაც სააგენტოს 2025 წლის 24 ივნისის №21/469 წერილით განმცხადებელს ეთხოვა დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა. 2025 წლის 30 ივნისს განმცხადებელმა წარმოადგინა 2025 წლის 30 ივნისის № 01/150512 დაზუსტებული განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის №1850).

2. დადგენილი გარემოებები

2.1. განმცხადებლის 2025 წლის 19 ივნისის №01/140348 განცხადებითა და 2025 წლის 30 ივნისის №01/150512 დაზუსტებული განცხადებით დგინდება, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის № 308 ბრძანებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესითა“ და „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტით“ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები, მათ შორის:

2.1.1. წერილობითი განაცხადი, რომელიც შეესაბამება „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის № 308 ბრძანებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის“ დანართით განსაზღვრულ ფორმასა და ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ინფორმაციას;

2.1.2. QSCert-ის მიერ გაცემული აუდიტის დასკვნა დანართებით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ავტორიზაციის მსურველი პირის მიერ ავტორიზაციის შესახებ განაცხადში მითითებული მომსახურებისათვის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ აუდიტი განხორციელდა აუდიტის დასკვნის სააგენტოში წარდგენამდე არაუადრეს 6 თვისა. გარდა ამისა, წარმოდგენილია შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს, QSCert-ის მიერ გაცემული სერტიფიკატები;

2.1.3. „სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცების შესახებ” სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 19 თებერვლის № 98/ს ბრძანება დანართებით და მასში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტში ჩამოყალიბებულ მინიმალურ მოთხოვნებს;

2.1.4. განმცხადებლის ფინანსური რესურსების ამსახველი სათანადო ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ განმცხადებლის წლიური ბიუჯეტის ოდენობა შეადგენს სულ მცირე 30 000 000 ლარს, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით გამოყოფილია, სულ მცირე, 5 000 000 ლარი;

2.1.5. „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 24 მარტის №140/ს ბრძანება მასში შესული ცვლილებებით, რომელიც ითვალისწინებს ყველა სავალდებულო ინფორმაციას;

2.1.6. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.1.7. იმ კვალიფიციური სანდო მომსახურების ჩამონათვალი, რომელთა გაწევასაც გეგმავს ავტორიზაციის მსურველი პირი. მითითებული ჩამონათვალი შეიცავს თითოეული მომსახურების აღწერას (ქართულ და ინგლისურ ენებზე) სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ რეგისტრირებული ETSI TS 119 612 „Electronic Signatures and Infrastructures (ESI); Trusted Lists“ სტანდარტის მოქმედი ვერსიით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

2.2. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის შესახებ“ სსიპ – ციფრული მმართველობის თავმჯდომარის 2023 წლის 20 ივლისის №61/ს ბრძანებით განმცხადებელს 2 წლის ვადით მიენიჭა კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაცია, რომლის ათვლაც დაიწყო 2023 წლის 21 ივლისს.

სამოტივაციო ნაწილი

3. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის 2025 წლის 19 ივნისის № 01/140348 განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის № 1775) კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

4. სამართლებრივი შეფასება

4.1. „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის № 308 ბრძანებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ავტორიზაციის შესახებ განაცხადის მიღებიდან 1 თვის განმავლობაში სააგენტო შეისწავლის წარდგენილ განაცხადსა და მასზე თანდართულ დოკუმენტებს/ინფორმაციას და ადგენს განაცხადში მითითებული მომსახურების კანონის, ამ წესისა და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამავე წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ავტორიზაციის შესახებ განაცხადში მითითებული ყველა მომსახურების, განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტების/ინფორმაციის კანონთან, ამ წესსა და ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას განაცხადში მითითებული ყველა მომსახურებისათვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ. წესის მე-5 მუხლის მე-4–მე-6 პუნქტების შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან მეორე დღეს გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. ავტორიზაციის ვადა აითვლება კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში ინფორმაციის შეტანის მომენტიდან. ამ ვადის გასვლის შემდგომ ავტორიზაცია ავტომატურად ჩაითვლება გაუქმებულად. სააგენტო გადაწყვეტილების გამოტანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, შეიტანს ინფორმაციას კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში. წესის მე-12 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მიხედვით, კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სია ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. სია შეიცავს განახლებულ ინფორმაციას კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისა და მის მიერ შეთავაზებული მომსახურებების სტატუსების შესახებ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან. წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კვალიფიციური სანდო მომსახურებისათვის ავტორიზაცია გაიცემა 2 წლის ვადით.

4.2. დადგენილია, რომ განცხადება შეესაბამება „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის № 308 ბრძანებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის“ მე-3 მუხლისა და „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნებს, შესაბამისად, განცხადება სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის № 308 ბრძანებით დამტკიცებული „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-5 პუნქტით, მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 მუხლებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2025 წლის 19 ივნისის № 01/140348 განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის № 1775) კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციის შესახებ, შემდეგი კვალიფიციური სანდო მომსახურებების მიმართ:

ა) კვალიფიციური სანდო მომსახურება ელექტრონული ხელმოწერის კვალიფიციური სერტიფიკატის შექმნისა და ვალიდაციისთვის:

ა.ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;

ბ) კვალიფიციური სანდო მომსახურება ელექტრონული შტამპის კვალიფიციური სერტიფიკატის შექმნისა და ვალიდაციისთვის:

ბ.ა) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის მიერ წარდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

ბ.ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

ბ.გ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

ბ.დ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე;

გ) კვალიფიციური სანდო მომსახურება დროის კვალიფიციური აღნიშვნის შექმნისათვის:

გ.ა) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია შეტანილ იქნეს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში გადაწყვეტილების გამოტანიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3. ავტორიზაციის 2-წლიანი ვადა აითვალოს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში შესაბამისი ინფორმაციის შეტანის მომენტიდან.

4. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან მეორე დღეს გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებსაიტზე www.dga.gov.ge.

5. ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება, დადგენილი წესით, ეცნობოს განმცხადებელს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) ოფიციალური წესით მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ნადირაშვილი